

შპს „ჯიარ ტრანზიტი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი 2024

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯიარ ტრანზიტის მესაკუთრეს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ჯიარ ტრანზიტის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შედგება არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე ჩვენს მიერ გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვეცნობით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2025 წლის 29 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

- დასკვნა გამოგვსახსნის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)



ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2025 წლის 29 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		89	95
გრძელვადიანი აქტივები		89	95
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	14 (c)	4,461	3,283
სავაჭრო მოთხოვნები	8	2,773	1,005
სხვა აქტივები		77	283
შეზღუდული თანხები	12(b)(ii)	18,545	17,770
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	3,782	6,022
მოკლევადიანი აქტივები		29,638	28,363
სულ აქტივები		29,727	28,458
კაპიტალი	10		
საწესდებო კაპიტალი		4,115	4,115
გაუნაწილებელი მოგება		22,377	19,430
სულ კაპიტალი		26,492	23,545
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები და კლიენტებისგან მიღებული ავანსები	5 (a)	3,213	4,860
სხვა ვალდებულებები		22	53
მოკლევადიანი ვალდებულებები		3,235	4,913
სულ ვალდებულებები		3,235	4,913
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29,727	28,458

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


გიორგი ჩიჩუა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი


იანა ალუღიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 7 - 26 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		89	95
გრძელვადიანი აქტივები		89	95
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	14 (c)	4,461	3,283
სავაჭრო მოთხოვნები	8	2,773	1,005
სხვა აქტივები		77	283
შეზღუდული თანხები	12(b)(ii)	18,545	17,770
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	3,782	6,022
მოკლევადიანი აქტივები		29,638	28,363
სულ აქტივები		29,727	28,458
კაპიტალი	10		
საწესდებო კაპიტალი		4,115	4,115
გაუნაწილებელი მოგება		22,377	19,430
სულ კაპიტალი		26,492	23,545
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები და კლიენტებისგან მიღებული ავანსები	5 (a)	3,213	4,860
სხვა ვალდებულებები		22	53
მოკლევადიანი ვალდებულებები		3,235	4,913
სულ ვალდებულებები		3,235	4,913
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29,727	28,458

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


გიორგი ჩიქვაშვილი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი


იანა ალულიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 7 - 26 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	136,533	124,061
ტვირთის გადაზიდვის ხარჯები	14(c)	(125,140)	(116,097)
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი		(2,905)	(2,754)
სხვა ხარჯები	6	(1,301)	(1,110)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		7,187	4,100
ფინანსური შემოსავალი		243	157
წმინდა ფინანსური შემოსულობა / (ხარჯები)		517	(405)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		7,947	3,852
მოგების გადასახადი		-	-
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		7,947	3,852

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

გიორგი ჩიჩუა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

იანა ალუღიშვილი
მთავარი ბუღალტერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 7 -26 გვერდებზე.


შპს „ჯიარ ტრანზიტი“
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	136,533	124,061
ტვირთის გადაზიდვის ხარჯები	14(c)	(125,140)	(116,097)
დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი		(2,905)	(2,754)
სხვა ხარჯები	6	(1,301)	(1,110)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		7,187	4,100
ფინანსური შემოსავალი		243	157
წმინდა ფინანსური შემოსულობა / (ხარჯები)		517	(405)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		7,947	3,852
მოგების გადასახადი		-	-
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		7,947	3,852

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:



გიორგი ჩიჩუა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



იანა ალუდიშვილი
მთავარი ბუღალტერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 7 -26 გვერდებზე.

შპს „ჯიარ ტრანზიტი“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	4,115	19,618	23,732
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			
წლის მოგება	-	3,852	3,852
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები			
მესაკუთრებთან			
დივიდენდები		(4,040)	(4,040)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	4,115	19,430	23,545
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	4,115	19,430	23,545
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			
წლის მოგება	-	7,947	7,947
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები			
მესაკუთრებთან			
დივიდენდები	-	(5,000)	(5,000)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	4,115	22,377	26,492

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 7 -26 გვერდებზე.

შპს „ჯიარ ტრანზიტი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება		7,947	3,852
კორექტირებები:			
წმინდა ფინანსური ხარჯები	7	(760)	248
ცვეთა		27	14
		7,214	4,114
ცვლილებები:			
მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებში		(1,178)	1,071
სავაჭრო მოთხოვნებში		(2,437)	(938)
სხვა აქტივებში		206	323
შეზღუდულ თანხებში		-	(223)
სხვა ვალდებულებებში		(30)	(534)
სავაჭრო ვალდებულებებსა და კლიენტებისგან მიღებულ ავანსებში		(1,634)	(50)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		2,141	3,763
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		243	157
ძირითადი საშუალებების შეძენა		(21)	(88)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობებიდან		222	69
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
გადახდილი დივიდენდები		(5,000)	(4,000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(5,000)	(4,000)
წმინდა შემცირება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(2,637)	(168)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	9	6,022	6,141
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		397	49
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	9	3,782	6,022

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 7 - 26 გვერდებზე.

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზე. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე.

გლობალური ფაქტორების მიუხედავად, საქართველოში 2024 წელს ეკონომიკა 9,4%-ით გაიზარდა, ინფლაციის დონემ კი 1,1% შეადგინა. მშპ-ს რეალური ზრდა ძირითადად განპირობებულია გაზრდილი ექსპორტით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით და ფულადი გზავნილების დაჩქარებით, რაც დაკავშირებულია ისრაელიდან, ირანიდან და აზერბაიჯანიდან მიგრანტების/ტურისტების შემოდინებასთან. ქართული ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 3.2 %-ით გაუფასურდა 2024 წელს (2023: 9,87% გამყარდა). წყაროები: www.geostat.ge; www.nbg.gov.ge.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „ჯიარ ტრანზიტი“ („კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. კომპანია დაფუძნდა 2015 წლის 10 სექტემბერს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თამარ მეფის გამზირი N 15, თბილისი, 0112, საქართველო. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 402020022 და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურებების გაწევა საქართველოს ტერიტორიაზე თხევადი ტვირთის სარკინიგზო ტრანსპორტირების ფარგლებში, გარდაბნის რკინიგზის სადგურიდან ბათუმის, ფოთის და ფართო წყალის („ყულევი“) რკინიგზის სადგურების მიმართულებით, შესაბამის სარკინიგზო მომსახურებასთან ერთად. 2019 წლის ნოემბრიდან, კომპანიამ დაიწყო ტვირთის გადაზიდვა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

კომპანიის სრული მფლობელია სს „საქართველოს რკინიგზა“ („მშობელი კომპანია“), რომელიც თავის მხრივ მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიაა. „კომპანიის“ საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-14 შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

განაცხადი შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (“ფასს სააღრიცხვო სტანდარტები”) და “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის” შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ შენიშვნა 15).

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და განსჯის გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია კრიტიკული განსჯა კომპანიის იმ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებსაც აქვთ არსებითი გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ ოდენობებზე.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო მათი სამართლიანი ღირებულებები განმარტებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს.

4. შეფასებებისა და განსჯის გამოყენება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

ხელმძღვანელობა, სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზების დროს, იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს, ეს შეფასება წარმოადგენს მე-3 დონის შეფასებას. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან მიმართებით მთლიანობაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნაში:

– შენიშვნა 12 (ა)- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2024	2023
ტვირთის გადაზიდვა	136,533	124,061
	136,533	124,061

(ა) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	8	2,773	1,005
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები		(2,776)	(4,271)

სახელშეკრულებო აქტივები, ძირითადად უკავშირდება საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანიის მხრიდან კლიენტისთვის გაწეული (მაგრამ არა დარიცხული) მომსახურების სანაცვლოდ მოპოვებულ უფლებას ანაზღაურების მოთხოვნაზე. ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს სახელშეკრულებო აქტივები მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე.

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს ტვირთის გადაზიდვის მომსახურებისთვის კლიენტებისგან მიღებულ ავანსს. 2024 წელს, 4,271 ათასი ლარის ოდენობით თანხა, რომელიც პერიოდის დასაწყისში აღიარებული იყო მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსებში, აღიარდა ტვირთის გადაზიდვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის სახით. 2025 წლის განმავლობაში, 2,776 ათასი ლარის ოდენობით მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები იქნება აღიარებული ტვირთის გადაზიდვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის სახით.

5. შემოსავალი (გაგრძელება)

(b) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკა

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

ტვირთვის გადაზიდვა - შემოსავალი მიიღება ტვირთის ერთი პუნქტიდან მეორეში გადაზიდვის შედეგად ანაზღაურების სანაცვლოდ, რომელიც ეფუძნება კომპანიასა და მის კლიენტებს შორის წინასწარ განსაზღვრულ ფასებს. შემოსავალი ფასდება იმ თანხით, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის აღნიშნული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. გარდა ამისა, ტრანსპორტირების საფასურის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე (cargo.railway.ge). კომპანია თავის მომხმარებლებს მოცულობაზე დაფუძნებულ ფასდაკლებებს არ სთავაზობს. კომპანია, ტრანსპორტირებისთვის, უმეტესწილად სრულ წინასწარ გადახდას მოითხოვს გადახდილი ავანსის სახით. შემოსავალი ფასდება იმ ანაზღაურების მიხედვით, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ტვირთის გადაზიდვის შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად, ფასს 15-ის შესაბამისად. ასაღიარებელი შემოსავლის ოდენობა ფასდება ტრანსპორტირების დასრულებამდე სავარაუდო დროის საფუძველზე.

6. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	331	326
სხვა საკომუნიკაციო მომსახურება	339	267
სხვა*	631	517
	1,301	1,110

*კატეგორია „სხვა“-ში შეტანილია აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების გაწევისთვის აუდიტორული ფირმისთვის 2024 წელს გადახდილი საფასური, დაახლოებით 52 ათასი ლარი (2023: 48 ათასი ლარი)

7. წმინდა ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი	243	157
ფინანსური შემოსავალი	243	157
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	517	(405)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური შემოსულობა/(ხარჯები)	760	(248)

8. სავაჭრო მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები*	46,520	42,917
გაუფასურების ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებზე	(43,747)	(41,912)
	2,773	1,005

*2017 წლის 28 სექტემბერს, კომპანიამ გააფორმა "Ship or Pay"- ს ხელშეკრულება (SoP) "United Petroleum Trading LLP ("UPT")" - სთან, რომლის თანახმად, UPT- ს უნდა გადაეხიდა სულ მცირე 1,200,000 მეტრ ტონა ნედლი ნავთობისა და ნავთობისა და გაზის კონდენსატი (ტვირთი) 2017 წლის ბოლომდე მშობელი კომპანიის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის და ნედლი ნავთობის წლიური რაოდენობის 50%-ის გამოყენებით, რომელიც მოპოვებულია თურქმენეთიდან და მიწოდებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით 2018 წლის ბოლომდე.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, 2017-2018 წლებში ტვირთის ტრანსპორტირება არ განხორციელებულა, თუმცა, კონტრაგენტმა მაინც უნდა გადაიხადოს მომსახურების საფასური, მიუხედავად ტვირთის გადაზიდვისა, როგორც ამას ითვალისწინებს SoP ხელშეკრულება. შედეგად, კომპანიამ აღიარა შემოსავალი და შესაბამისი მოთხოვნა 13,988 ათასი აშშ დოლარის ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრისთვის. 2018 წლის შემდეგ შემოსავალი არ ყოფილა აღიარებული.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	3,782	6,022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	3,782	6,022

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-12 შენიშვნაში.

10. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალმა კანონმა განსაზღვრა განთავსებული კაპიტალის ვადა და კომპანიას 2026 წლის პირველ აპრილამდე ავალდებულებს შესაბამისობის უზრუნველყოფას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ განუსაზღვრავს განთავსებული კაპიტალი. (2025 წლის 1 მაისს კომპანიამ მოახდინა სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა).

(b) დივიდენდები

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ 5,000 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები გამოაცხადა, რომელიც სრულად იქნა გადახდილი ფულადი სახსრებით (2023: 4,000 ათასი ლარი).

11. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაკისრებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

12. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) სამართლიანი ღირებულებების შეფასება

სამართლიანი ღირებულებების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობებიდან და სუბიექტური განსჯის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, მათ საბალანსო ღირებულებასთან არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 12(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 12(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 12(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭოს აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და ზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის პირობებში და კომპანიის საქმიანობებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭო ზედამხედველობას უწევს, თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას, კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

12. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება კომპანიის კლიენტების მიმართ არსებულ მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2024	2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 9)	3,782	6,022
შეზღუდული თანხები	18,545	17,770
სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 8)	2,773	1,005
ნაშთი 31 დეკემბერს	25,100	24,797

2023 და 2024 წლებში მოგებაში ან ზარალში არ ყოფილა აღიარებული გაუფასურების ზარალი ან გაუფასურების ზარალის აღდგენები ფინანსურ აქტივებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიის და ქვეყნის დეფოლტის რისკს, რომელშიც ფუნქციონირებენ მომხმარებლები, კერძოდ კი ამჟამად გაუარესებულ ეკონომიკურ პირობებში. 2024 წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 47% (2023: 50%) მიკუთვნებადია კომპანიის ორ ძირითად კლიენტთან განხორციელებულ გაყიდვის ოპერაციებზე.

საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება ტვირთის გადაზიდვის კლიენტებისგან წინასწარი გადახდების მოთხოვნის გზით. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად მოიცავს მოთხოვნებს უცხოური კომპანიების მიმართ, რომლებიც გასწევენ ლოგისტიკურ და ნავთობის მიწოდების მომსახურებებს. აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება მოთხოვნების ნაშთების ყოველთვიური მონიტორინგის გზით და იმ ვალების დაუყოვნებელი დაფარვის მოთხოვნით, რომელთა ნაშთი თითოეული ინდივიდუალური კონტრაგენტისთვის გარკვეულ, დაწესებულ ზღვრებს უახლოვდება.

კომპანიის კლიენტების 90%-ზე მეტი აწარმოებს ოპერაციებს კომპანიასთან მისი დაარსების თარიღიდან და ზარალს იშვიათად ჰქონია ადგილი. მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, მომხმარებლები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის, ხანდაზმულობის პროფილი, დაფარვის ვადა და წარსულში ფინანსური სირთულეების არსებობა.

როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში უზრუნველყოფა არ მოითხოვება. კომპანიას არ გააჩნია სავაჭრო მოთხოვნა და სახელშეკრულებო აქტივები, რომლებისთვისაც არ არის ზარალის ანარიცხი აღიარებული უზრუნველყოფის არსებობის გამო.

12. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება კორპორატიული კლიენტებისთვის

კომპანია თითოეულ დაქვემდებარებას ანაწილებს საკრედიტო რისკის ხარისხზე იმ მონაცემების საფუძველზე, რომელიც განისაზღვრა როგორც ზარალის რისკის საპროგნოზო მონაცემები (მათ შორის და არა მხოლოდ, გარე რეიტინგები (ხელმისაწვდომობის შემთხვევაში), აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, მმართველობითი ანგარიშები და ფულადი ნაკადების პროგნოზები და პრესაში არსებული, ხელმისაწვდომი ინფორმაცია კლიენტების შესახებ) და კლიენტის ქცევასთან დაკავშირებით გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით. საკრედიტო რისკის ხარისხები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც მიაწინებებს დეფოლტის რისკზე და შესაბამისობაშია სააგენტოების გარე საკრედიტო რეიტინგის განმარტებებთან.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე კლიენტების მიმართ სავაჭრო მოთხოვნებისთვის:

'000 ლარი	2024	2024	2024
	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი			
დაბალი რისკი	2,773	-	2,773
მაღალი რისკი	-	43,747	43,747
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	2,773	43,747	46,520
ზარალის ანარიცხი	-	(43,747)	(43,747)
	2,773	-	2,773

'000 ლარი	2023	2023	2023
	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი			
დაბალი რისკი	1,005	-	1,005
მაღალი რისკი	-	41,912	41,912
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	1,005	41,912	42,917
ზარალის ანარიცხი	-	(41,912)	(41,912)
	1,005	-	1,005

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი სავაჭრო მოთხოვნებისთვის დაფუძნებულია ვადაგადაცილების სტატუსზე, გარე საკრედიტო რეიტინგზე და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალის გამოცდილებაზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

ანარიცხის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვის მიზნით, მანამ სანამ აღდგენის ყველა შესაძლებლობა არ იქნება ამოწურული; ამ დროს ოდენობები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივის საპირწონედ.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, საკრედიტო რისკით გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნების მქონე კლიენტებთან მიმართებაში, გამოყენებულ იქნა 100%-იანი „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“, ვადაგადაცილების სტატუსის, გარე საკრედიტო რეიტინგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბოლო ორი წლის ფაქტობრივი საკრედიტო ზარალის გამოცდილების მიხედვით. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნები არ არის ანაზღაურებადი.

12. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

მოდრაობა გაუფასურების ანარიცხში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში

მოდრაობა გაუფასურების ანარიცხში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	41,912	42,109
უცხოური ვალუტის გადაფასებით გამოწვეული ცვლილება	1,835	(197)
ნაშთი 31 დეკემბერს	43,747	41,912

2023 და 2024 წლებში, სავაჭრო მოთხოვნები არ ყოფილა ჩამოწერილი.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახსრები

შეზღუდული თანხები, სახელშეკრულებო ვალდებულების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით, ინახება მშობელი კომპანიის საბანკო ანგარიშზე, სს „საქართველოს რკინიგზასთან“ დადებული „ხელშეკრულება ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ“ თანახმად (იხილეთ შენიშვნა 14 (c)). ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით, სს „საქართველოს რკინიგზას“ აქვს მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგი B.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ქართულ ბანკებში მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B (ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით). არცერთი ნაშთი არ არის არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული და კლასიფიცირებულია 1-ელ დონეზე. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანიის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდური აქტივები მისი ლიკვიდურობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპანია ლიკვიდურობის რისკის მართვაში იყენებს დაფარვის ვადების ცხრილებს. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ხელშეკრულების მიხედვით გადახდილი უნდა იქნეს საანგარიშგებო თარიღიდან, კერძოდ 2024 წლის 31 დეკემბრიდან, ექვსი თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსური ვალდებულებებიდან ფულადი სახსრების გადინების ვადები არ აღემატება ერთ წელს.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის სავალუტო კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები, იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

12. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ გაყიდვებთან, შესყიდვებთან და შეზღუდულ თანხებთან დაკავშირებით, რომლებიც ლარის გარდა სხვა ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი:

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი (პირობითი ოდენობების მიხედვით):

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2024	აშშ დოლარში დენომინირებული 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,968	4,620
შეზღუდული თანხები	18,545	17,770
სავაჭრო მოთხოვნები	1,651	995
წმინდა დაქვემდებარება	23,164	23,385

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსი	
	2024	2023	2024	2023
აშშ დოლარი	2,7208	2,6279	2,8068	2,6894

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება (გაუფასურება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე დაბეგვრამდე, ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

'000 ლარი	გამყარება კაპიტალი/ მოგება ან ზარალი	გაუფასურება კაპიტალი/ მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2024 აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(2,316)	2,316
31 დეკემბერი 2023 აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(2,339)	2,339

13. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალ დარღვევიდან სამი წელია გასული.

ამ ვითარებამ შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მნიშვნელოვანია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

(b) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებს, დავებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

(c) სახელშეკრულებო ვალდებულებები

2024 წლის დეკემბერში, კომპანიამ გაახანგრძლივა ტვირთების გადაზიდვის ხელშეკრულება („FTA“) სს „საქართველოს რკინიგზასთან“. FTA-ს თანახმად, კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მინიმუმ 1,100,000 ტონა თხევადი ტვირთის გადაზიდვა 2024 წლის 1 დეკემბრიდან 2025 წლის 30 ნოემბრამდე.

ზემოთ მოცემული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ გამოყო შეზღუდული სახსრები (შენიშვნა 12(b)(ii)) 6,607 ათასი აშშ დოლარის (18,545 ათასი ლარი) ოდენობით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია შეძლებს FTA-ს შესაბამისად სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.

მშობელ კომპანია „საქართველოს რკინიგზასთან“ დადებული N23-070 ხელშეკრულების საფუძველზე, ტვირთების გადაზიდვის შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის მიზნით, კომპანიამ აიღო ვალდებულება, 2023 წლის 1 დეკემბრიდან 2024 წლის 30 ნოემბრამდე გადაეხიდა 1,100,000 ტონაზე მეტი კონკრეტული ტვირთი.

2023 წლის 1 დეკემბრიდან 2024 წლის 30 ნოემბრამდე პერიოდში კომპანიამ შეასრულა 1,100,000 ტონაზე მეტი ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რითაც შესაბამისი პერიოდისთვის გადაიხადა მხოლოდ შეღავათიანი ტარიფები.

მშობელ კომპანია „საქართველოს რკინიგზასთან“ დადებული N22-162 ხელშეკრულების საფუძველზე, ტვირთების გადაზიდვის შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის მიზნით, კომპანიამ აიღო ვალდებულება, 2022 წლის 1 დეკემბრიდან 2023 წლის 30 ნოემბრამდე გადაეხიდა 1,100,000 ტონაზე მეტი კონკრეტული ტვირთი.

2022 წლის 1 დეკემბრიდან 2023 წლის 30 ნოემბრამდე პერიოდში კომპანიამ შეასრულა 1,100,000 ტონაზე მეტი ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რითაც შესაბამისი პერიოდისთვის გადაიხადა მხოლოდ შეღავათიანი ტარიფები.

14. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არის სს „საქართველოს რკინიგზა“. საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

სს „საქართველოს რკინიგზა“ აწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ ხელმისაწვდომია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდზე.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ, რომელიც შედგება კომპანიის დირექტორისგან, დირექტორის მოადგილისგან და სამეთვალყურეო საბჭოსგან, წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯების კატეგორიაში:

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	488	469

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

(i) ოპერაციები მთავრობასთან

კომპანია ყოველდღიურ საქმიანობებს აწარმოებს მთელ რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან არის საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. კომპანიამ აირჩია ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ გამონაკლისის გამოყენება, რომელიც იძლევა დაკავშირებული მხარის შესახებ ინფორმაციის შემცირებული სახით წარდგენის ნებართვას, მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით.

კომპანიის ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია ქვემოთ.

(ii) ტვირთის გადაზიდვის საქმიანობა

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ გასწია 112,360 ათასი ლარის ოდენობით ტვირთის გადაზიდვის ხარჯები (2023: 98,714 ათასი ლარი) სს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ.).

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას გადახდილი აქვს 4,461 ათასი ლარის ოდენობით ავანსები სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ (2023 წლის 31 დეკემბერი: 3,283 ათასი ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას აქვს 18,545 ათასი ლარის ოდენობით შეზღუდული თანხები სს „საქართველოს რკინიგზასთან“ (იხ. შენიშვნა 12 (b) (ii), (2023 წლის 31 დეკემბერი: 17,770 ათასი ლარი).

ხელმძღვანელობა აფასებს, რომ სხვა მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან დაკავშირებული ნაშთების ჯამური ოდენობები არ არის არსებითი.

15. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) შემოსავლის აღიარება

ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რომლებიც მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 5.

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის

საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა შემოსულობის, თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

15. არსებითი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, გადაყვანილია ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს აღნიშნული თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია საიმედოდ იქნას შეფასებული.

(e) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო

თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, არამედ გულისხმობს დაბეგვრის მომენტის გადანაცვლებას მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ანუ ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვის არის გადახდილი დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

15. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადით იბეგრება ასევე ზოგიერთი ოპერაცია, როგორცაა ხარჯის გაწევა, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდება და ზღვრულ ოდენობაზე გადაჭარბებით წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მათ აღრიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

(f) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობისას ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალდებულო ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახსრები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება- ამორტიზებული ღირებულებით.

15. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს, ვადიან ანაზღაურებებს და მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს დაფარვის ვადით 3 თვე ან ნაკლები შემდგომი თარიღიდან, რომელთა სამართლიანი ღირებულებაში ცვლილებების რისკი მიჩნეულია არაარსებითად. ვადიანი ანაზღაურის წარმოადგენს ვადიან ანაზღაურებს ბანკებში 3 თვეზე მეტი დაფარვის ვადით შემდგომი თარიღიდან, მაგრამ რომლისთვისაც კომპანიას აქვს ცალმხრივი უფლება, რომ გამოიტანოს თანხები რამდენიმე დღის განმავლობაში შეტყობინების გაგზავნიდან მნიშვნელოვანი ჯარიმების გადახდის ან პროცენტის დაკარგვის გარეშე.

აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

15. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(iv) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთ-გადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთ გაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(გ) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია აღიარებს ზარალის ანარიცხებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

კომპანია აფასებს ზარალის ანარიცხებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის ანარიცხები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და საპროგნოზო პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადა გადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

15. არსებითი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ფასდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის „კომპანია“) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს გაუფასურდა თუ არა საკრედიტო რისკით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულებები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად, დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადა გადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულებების გამო;

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის ანარიცხები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის, ზარალის ანარიცხი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

15. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულებლო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ მოვიდეს კომპანიის თანხების ამოღების პროცედურებთან შესაბამისობაში.

(h) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

16. ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

მთავარი ხელმძღვანელი პირების ცვლილება

2025 წლის 27 მაისს კომპანიის ყოფილმა დირექტორმა, დავით ჩირაძემ, თანამდებობა დატოვა და იმავე დღეს მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებით კომპანიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად გიორგი ჩიჩუა დაინიშნა.

17. ახალი ან განახლებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ახალი სტანდარტები და შესწორებები ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან:

- ცვლილებები IFRS 16-ში „იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარაში“ (გამოქვეყნდა 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია - ცვლილებები IAS 1-ში (თავდაპირველად გამოქვეყნდა 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები IAS 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და IFRS 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება: მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებები“ (გამოქვეყნდა 2023 წლის 25 მაისს).

შესწორებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

18. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

რიგი ახალი სტანდარტები ძალაშია 2025 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და დაშვებულია მათი უფრო ადრე გამოყენება; თუმცა, კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ვადაზე ადრე არ მიიღო ახალი ან შესწორებული სტანდარტები. შემდეგი შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოქვეყნდა 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს 18 „წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში“ (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- აქტივების გაყიდვა ან შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის - ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები (გამოქვეყნდა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია ბასსს-ის მიერ განსაზღვრული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ის ყოველწლიური გაუმჯობესებები (გამოქვეყნდა 2024 წლის ივლისში და ძალაში შევიდა 2026 წლის 1 იანვრიდან).
- ბასს 21-ის ცვლილებები „ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა“ (გამოქვეყნდა 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს 19 „შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება“ (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 მაისს და ძალაში შევიდა 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- კონტრაქტები, რომლებიც მიუთითებენ ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიაზე, ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებები (გამოქვეყნდა 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2026 წლის 1 იანვრიდან).
- ფასს 14, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოქვეყნდა 2014 წლის 30 იანვარს და ძალაში შევიდა 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

შპს ჯიარ ტრანზიტი

2024 წლის მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

კომპანიის შესახებ.....	3
პერსონალი და მმართველობითი სტრუქტურა.....	3
ფინანსური შედეგების ანალიზი	4
კომპანიის წინაშე არსებული რისკების და გეგმიდან გადახრების ანალიზი	7
კომპანიის სტრატეგია და მიზნები.....	7
კანონმდებლობა და რეგულაციები.....	8

კომპანიის შესახებ

შპს ჯიარ ტრანზიტი (შემდეგში „კომპანია“) არის სს საქართველოს რკინიგზის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანია, რომელიც ახორციელებს ნედლი ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის ორგანიზებას და გადაზიდვას საქართველოს რკინიგზის საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანიდან (გარდაბნის სადგური) ბათუმის, ფოთის და ფართო წყალის სადგურების მიმართულებით.

კომპანიის მისიაა საქართველოში სატრანზიტო კორიდორის გაფართოება და ტვირთბრუნვის გაზრდა, ხარისხიანი და უწყვეტი მომსახურება. შპს ჯიარ ტრანზიტს გააჩნია პირდაპირი კონტრაქტები კლიენტებთან და ასევე მომსახურების ხელშეკრულებები სს საქართველოს რკინიგზასთან, შპს ქართულ სალოკომოტივო კომპანიასთან, შპს ბათუმის ნავთობტერმინალთან და ასევე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქმედ მსხვილ საექსპედიტორო კომპანიებთან, რომელიც საშუალებას აძლევს მას, შესთავაზოს კლიენტს სწრაფი და უწყვეტი მომსახურება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

შპს ჯიარ ტრანზიტი კლიენტებს სთავაზობს საექსპედიტორო მომსახურების სრულ პაკეტს, რომელიც მოიცავს როგორც თვით უშუალოდ გადაზიდვას, ასევე მასთან დაკავშირებული თანმხლები მომსახურებების (ცარიელი ვაგონების უკან დაბრუნება, 24 საათზე მეტი მომსახურება გამგზავნა და მიმღებ სადგურებში, გადაზიდვასთან დაკავშირებული საბაჟო ჯარიმების ადმინისტრირება, ადგილობრივი სადგურების მომსახურება და ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა სერვისები).

პერსონალი და მმართველობითი სტრუქტურა

შპს ჯიარ ტრანზიტი თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, ქ. ბათუმში და ფართო წყალში არსებული ოფისების საშუალებით, რომლებიც დაკომპლექტებულია 58 კვალიფიცირებული თანამშრომლით. კომპანია მოიცავს საოპერაციო, ადმინისტრაციულ, იურიდიულ, ფინანსურ, ტარიფებისა და საჩივრების, კლიენტებთან ურთიერთობის, უსაფრთხოების, საბაჟო საკითხების და შესყიდვების დეპარტამენტებს, რომელთა მართვაც ხორციელდება ცენტრალიზებულად.

შპს ჯიარ ტრანზიტს ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აქტიურადაა ჩართული კომპანიის სტრატეგიის დაგეგმვის, ბიუჯეტირების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზის და მონიტორინგის საკითხებში. სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის წინაშე არსებული რისკების ანალიზსა და მართვასთან დაკავშირებით.

ფინანსური შედეგების ანალიზი

შპს ჯიარ ტრანზიტი ყოველწლიურად ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. მისი მიზანია მომხმარებელთა ფართო წრისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების, საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ქვემოთ მოცემულია აუდირებული ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგება-ზარალის, საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2023-2024 წლის შედეგებზე დაყრდნობით.


საბალანსო უწყისი

'000 ლარი	2024	2023
აქტივები		
სულ გრძელვადიანი აქტივები	89	95
სულ მიმდინარე აქტივები	29,638	28,363
მთლიანი აქტივები	29,727	28,458
ვალი	26,492	23,545
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები	3,235	4,913
სულ ვალდებულებები	3,235	4,913
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	29,727	28,458

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	2024	2023
შემოსავალი	136,533	124,061
ტვირთის გადაზიდვის ხარჯები	(125,140)	(116,097)
პერსონალის ანაზღაურება	(2,905)	(2,754)
სხვა ხარჯები	(1,301)	(1,110)
შემოსავალი/(ხარჯი) საოპერაციო საქმიანობიდან	7,187	4,100
შემოსავალი ფინანსური საქმიანობიდან	243	157
მოგება/ზარალი ვალუტის გადაფასებიდან	517	(405)
მოგება დაბეგვრამდე	7,947	3,852
მოგების გადასახადი	-	-
სუფთა მოგება	7,947	3,852

შემოსავლების ძირითადი ნაწილი ფორმირდება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვისას გაწეული მომსახურების გაწევის შედეგად. გადაზიდული ტვირთის წარმოშობის ქვეყნებია ძირითად აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი. შემდეგი სურათი გამოხატავს ნავთობპროდუქტების წარმომავლობის სტრუქტურას ქვეყნების მიხედვით:



2024 წელს წინა წელთან შედარებით ადგილი ჰქონდა გადატვირთული ტვირთების გამომგზავნი ქვეყნების მიხედვით წილების თანაფარდობის შემდეგ ცვლილებებს: აზერბაიჯანის წილი შემცირდა 41%-დან 27%-მდე, ყაზახეთის წილი გაიზარდა 31%-დან 48%-მდე, ხოლო თურქმენეთის წილი შემცირდა 24% -დან 13%-მდე.

ნავთობპროდუქტების წარმომავლობის სტრუქტურის ანალიზის დროს გამოიკვეთა შემდეგი სიტუაცია: გადაზიდული აზერბაიჯანული წარმოშობის ნავთობპროდუქტების რაოდენობა შემცირდა ძირითადად ექსპორტისთვის განკუთვნილი ვაკუუმური გაზოილისა და დიზელის რაოდენობის შემცირების ხარჯზე, რაც ძირითადად განპირობებულია მსოფლიო ბაზარზე არსებული ეკონომიკური პირობებისა და ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნების ცვლილებებით.


რაც შეეხება ყაზახურ ნავთობპროდუქტებს - გრძელდება 2022 წელს მსოფლიოში შექმნილი ცნობილი გეოპოლიტიკური მოვლენების მნიშვნელოვანი ზეგავლენა ყაზახეთიდან ტრანსპორტირებული ნავთობპროდუქტების ნაკადებზე. 2024 წელს წინა წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა ყაზახური წარმოშობის მაზუთისა და ვაკუუმური გაზოილის ტრანსპორტირება, რაც განპირობებულია ყაზახური წარმოშობის ნავთობპროდუქტების ალტერნატიული მარშრუტებიდან გადამისამართებით საქართველოს სარკინიგზო კორიდორის მიმართულებით. ასევე გაზრდილია ყაზახური წარმოშობის ნავთობქიმიის პროდუქტებიდან პარაქსილოლის ტრასპორტირება. რაც შეეხება

თხევადი გაზის ტრანსპორტირებას, 2024 წელს შეიმჩნევა გადაზიდული მოცულობების სტაბილიზაცია და გეგმაშია ტენდენციის შენარჩუნება მომავალ წლებშიც.

კორიდორში შეიმჩნევა გადაზიდული თურქმენული წარმოშობის ნავთობპროდუქტების რაოდენობის შემცირება 2024 წელს წინა წელთან შედარებით, რაც განპირობებულია არსებულ ალტერნატიულ მიმართულებებზე ტრვირთნაკადების გადანაწილებითა და მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასების ცვლილებებით.

აღსანიშნავია 2024 წელს ალტერნატიული მარშრუტებიდან საქართველოს კორიდორის მიმართულებით უზბეკური წარმოშობის დიზელის გადამისამართება, რაც გამოიხატა 2024 წელს ამ პროდუქტის საგრძნობი მოცულობის გადაზიდვით. იგეგმება აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნება მომავალ წლებშიც.

ქვემოთ მოცემულია 2023-2024 წლებში გადაზიდული ტვირთების შესახებ ინფორმაცია.



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

'000 ლარი	2024	2023
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	2,141	3,763
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	222	69
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(5,000)	(4,000)
ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(2,637)	(168)

'000 ლარი	2024	2023
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები		
1 იანვრისთვის	6,022	6,141
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	397	49
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები 31 დეკემბრისთვის	3,782	6,022

კომპანიის წინაშე არსებული რისკების და გეგმიდან გადახრების ანალიზი

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა მოიცავს მის წინაშე არსებული რისკების განსაზღვრას და გაანალიზებას, რისკის დასაშვები ზღვრული ოდენობის დადგენას და კონტროლს და მის შემდგომ მართვას და მონიტორინგს. მასში შემავალი კომპონენტების გათვალისწინებით შპს ჯიარ ტრანზიტს შემუშავებული აქვს საკუთარი რისკების მართვის სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის მიზნებთან და საქმიანობის სპეციფიკასთან.

რისკების მართვა ხორციელდება მთელი საწარმოს მასშტაბით მის ყველა სტრუქტურულ თუ ორგანიზაციულ დონეზე. მინიმუმამდეა დაყვანილი კომპანიის წინაშე არსებული საოპერაციო რისკები მისი ეფექტური მართვით და მუდმივი ტრენინგების სისტემით და მონიტორინგით.

კომპანიის წინაშე არსებული ფინანსური რისკები განხილულია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის სტრატეგია და მიზნები

კომპანიის გრძელვადიანი ხედვაა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს კასპია-შავი ზღვის სატრანსპორტო კორიდორის განვითარებას და გაფართოვებას და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ-სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. კორიდორისთვის ახალი ტვირთების მოზიდვით, ლოიალური კლიენტების შენარჩუნებითა და კლიენტებისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი და კომფორტული მომსახურების მიწოდებით მენეჯმენტი ცდილობს უზრუნველყოს სტაბილური შემოსავალი და შესაბამისად სარგებელი პარტნიორისა და საზოგადოებისათვის.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მენეჯმენტს გადამწყვეტ ფაქტორად კომპანიის მაღალი რეპუტაციის მუდმივი შენარჩუნება-გაზრდა და მაღალკომპეტენტური და გამოცდილი კადრების მიერ მომხმარებლებისთვის სტაბილური ხარისხის და მაქსიმალურად ხელსაყრელი მომსახურების მიწოდება მიაჩნია.

კომპანიამ გააფართოვა მისი სამოქმედო არეალი და მომსახურებას სთავაზობს კლიენტებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. იგეგმება მომავალში აღნიშნული მიმართულების კიდევ უფრო ინტენსიურად დატვირთვა. ასევე, იგეგმება ისეთი მომსახურების სახეების დამატებით შეთავაზება კლიენტებისთვის, როგორიც არის სატერმინალო-საპორტო მომსახურება, საბორნე მომსახურება და სხვ.

კანონმდებლობა და რეგულაციები

შპს ჯიარ ტრანზიტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს სს „საქართველოს რკინიგზის“ სატარიფო პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნებულია სს „საქართველოს რკინიგზის“ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისთვის.

გიორგი ჩიჩუა


დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კომპანიამ გააფართოვა მისი სამოქმედო არეალი და მომსახურებას სთავაზობს კლიენტებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. იგეგმება მომავალში აღნიშნული მიმართულების კიდევ უფრო ინტენსიურად დატვირთვა. ასევე, იგეგმება ისეთი მომსახურების სახეების დამატებით შეთავაზება კლიენტებისთვის, როგორიც არის სატერმინალო-საპორტო მომსახურება, საბორნე მომსახურება და სხვ.

კანონმდებლობა და რეგულაციები

შპს ჯიარ ტრანზიტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს სს „საქართველოს რკინიგზის“ სატარიფო პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნებულია სს „საქართველოს რკინიგზის“ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისთვის.



გიორგი ჩიჩუა

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი